ხელშეკრულება N169

ქ.ხაშური 20 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორი **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე **შპს შოუ ტექნიკის ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის ზაზა გაბელაიას სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:
ხელოვნური თოვლის გენერატორი და მასში ჩასასხამი სითხე CPV:31120000

2. ხელშეკრულების ღირებულება
ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 370.00 (სამას სამოცდაათი) ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე, ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი
4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე
4.2 მომწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს შოუ ტექნიკის ცენტრის დირექტორი ზაზა გაბელაია
4.3 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური
5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2016 წლის 20 დეკემბერს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 20 იანვრამდე.

შემსყიდველი ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება	მიმწოდებელი შპს შოუ ტექნიკის ცენტრი
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საიდენტეიფიკაციო კოდი 205073212 ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა Ge47PC0133600100064179
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	დირექტორი ზაზა გაბელაია

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ ხაშური 20 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ შპს შოუ ტექნიკის ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის ზაზა გაბელაიას სახით წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 20 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N169ის და CPV: 31120000 საფუძველზე შპს შოუ ტექნიკის ცენტრმა მოაწოდა 370.00 (სამას სამოცდაათი) ლარის ღირებულების ხელოვნური თოვლის გენერატორი, მასში ჩასასხმელი სითხით.

აქტს ხელს ვაწერთ და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია:

გიორგი ბოლოკაძე

ზაზა გაბელაია